ალლაჰმა გაახაროს ის ადამიანი, რომელიც ჩვენგან რამეს მოისმენს და ზუსტად ისე გადასცემს სხვებს, როგორც გაიგო, რადგან შესაძლოა, ვისაც ეს მიაწვდიან, უკეთ გაიგოს იგი, ვიდრე ის, ვინც მოისმინა

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მასუდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ალლაჰმა გაახაროს ის ადამიანი, რომელიც ჩვენგან რამეს მოისმენს და ზუსტად ისე გადასცემს სხვებს, როგორც გაიგო, რადგან შესაძლოა, ვისაც ეს მიაწვდიან, უკეთ გაიგოს იგი, ვიდრე ის, ვინც მოისმინა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ალლაჰს სთხოვა, რომ ამქვეყნად სიხარული და სიკეთე მიანიჭოს და ასევე საიქიოში სამოთხის ნეტარებასა და ბედნიერება მიაღებინოს მას, ვინც მისგან ჰადისს მოისმენს, დაიმახსოვრებს და სხვას გადასცემს. რადგან შესაძლოა, ვისაც ამ ჰადისს გადასცემენ, უკეთ გაიგოს და აღიქვას მისი შინაარსი და იყოს უფრო უნარიანი მისგან პრაქტიკული სამართლებრივი დასკვნების გამოტანაში, ვიდრე ის, ვინც თავად მოისმინა. ამგვარად, პირველი ადამიანი ჰადისს კარგად დაიმახსოვრებს და გადასცემს, ხოლო მეორე მას გაიაზრებს, სწორად გაიგებს და მისგან პრაქტიკული წესებს გამოიტანს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6820